2-22212/19
13-12-2019

საქართველოს პარლამენტის ბიუროს

საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის

დ ა ს კ ვ ნ ა

არანაკლებ 200 000 ამომრჩევლის ინიციატივით საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტის წარდგენის უფლების განხორციელების მიზნით ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის რეგისტრაციის თაობაზე

საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტმა 2019 წლის 13 დეკემბერს კომიტეტის სხდომაზე განიხილა საქართველოს პარლამენტის ბიუროს მიერ წარმოდგენილი არანაკლებ 200 000 ამომრჩევლის ინიციატივით „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტის წარდგენის უფლების განხორციელების მიზნით მოქალაქეთა საინიციატივო ჯგუფის (ვიქტორ ჯაფარიძის, ირაკლი (დაჩი) ბერაიას, მიხეილ ყაველაშვილის, დიმიტრი ხუნდაძის, გურამ მაჭარაშვილის, გოგა გულორდავას, ცოტნე ზურაბიანის, სავალან მირზოევის, რომან მუჩიაშვილის, გოგი მეშველიანისა და მერაბ ქვარაიას შემადგენლობით) განცხადება.

განხილვის შედეგად დადგინდა, რომ საქართველოს პარლამენტის ბიუროს მიერ მოწოდებული საინიციატივო ჯგუფის განცხადება და თანდართული მასალები წარმოდგენილი იქნა საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 124-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების მოთხოვნათა დაცვით.

კომიტეტმა მიზანშეწონილად მიიჩნია აღნიშნული საინიციატივო ჯგუფის რეგისტრაციაში გატარება, გადასცა სარეგისტრაციო მოწმობა და საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის მიერ აღნიშნული კანონპროექტის მხარდამჭერთა ხელმოწერების შესაგროვებლად დადგენილი ფორმის (ფურცლის) ნიმუში.

პატივისცემით,

კომიტეტის თავმჯდომარე
გურამ მაჭარაშვილი